GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

12 Kasım / ნოემბერი 2021

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	12.8 %

Yeni Yatırım Projeleri
ახალი საინვესტიციო პროექტები

Gürcistan Başbakanı İrakli Gharibashvili'nin talimatı üzerine, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı yeni, büyük ölçekli yatırım projeleri hazırladı. Başbakanın önderliğinde yapılan çalıştayda 40'a yakın yatırım önerisi tartışıldı. Projeler arasında yeni turizm, sanayi ve lojistik tesisleri bulunmaktadır. Tartışılan teklifler arasından yatırım açısından en cazip teklifler seçilmiş olup, bunların tasarım için çalışmalara başlanacaktır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ახალი მსხვილი საინვესტიციო პროექტები მოამზადა. სამუშაო შეხვედრაზე, 40-მდე საინვესტიციო შეთავაზება განიხილეს. პროექტები ახალი ტურისტული, ინდუსტრიული და ლოგისტიკური ობიექტების განვითარებას მოიცავს. განხილული წინადადებებიდან, უახლოეს პერიოდში საინვესტიციო თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი შეთავაზებები შეირჩევა და მათ პროექტირებაზე დაიწყება მუშაობა.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Gürcistan'da İlaç Pazarı

ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში

Gürcistan Başbakanı İrakli Gharibashvili, Ekonomi Konseyi'ni toplantıya çağırdı. Toplantıda Başbakan, ilaç fiyatlarının çok yüksek olup, hükümetin buna zamanında cevap vermekle yükümlü olduğu belirtti.

İlgili kurum başkanları ile gerçekleştirilmiş toplantıya Rekabet Kurumu Başkanı Irakli Lekvinadze de çağırılmış. Toplantıya katılanlara Rekabet Kurum tarafından hazırlanan ilaç pazarının izlenmesine ilişkin ön rapor sunuldu. Toplantıda, ilaçların yüksek fiyat sorununu zamanında çözmek için atılması gereken adımlar tartışıldı. Başbakanın belirttiği gibi sürece doğru bir müdahale gerekir.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკური საბჭოს სხდომა მოიწვია. სხდომაზე პრემიერმა განაცხადა, რომ მედიკამენტების ფასები ძალიან არის გაზრდილი და მთავრობა ვალდებულია ამაზე მოახდინოს დროული რეაგირება.

სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები და ასევე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე, რომელმაც კრებას სააგენტოს მიერ მომზადებული ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის შუალედური ანგარიში წარუდგინა. კრებაზე იმსჯელეს იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მედიკამენტების მაღალ ფასებთან დაკავშირებული გამოწვევის დროულად გადასაჭრელად უნდა გადაიდგას. პრემიერის განცხადებით პროცესი საჭიროებს სწორად ჩარევას.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Asya Kalkınma Bankası'ndan Gürcistan'a 101 Milyon Euroluk Kredi
101 მლნ ევროს სესხი საქართველოს აზიის განვითარების ბანკისგან

Asya Kalkınma Bankası (ADB), Gürcistan'a 101 milyon Euro'luk bütçe kredisini onayladı. Kredinin amacı Gürcistan'da yeni altyapının düzenlenmesi ve mevcut altyapının rehabilitasyonudur. Maddi kaynaklar, şehir merkezlerinin, halka açık alanlarının ve parkların rehabilitasyonuna harcanacaktır. Tiflis Metrosu da dahil olmak üzere ulaşım sistemleri de yenilenecek. Proje kapsamında kütüphaneler, E-öğrenme merkezler, ana okullar, spor kompleksler ve diğer kamu kurumlar inşa edilecek.

Yatırım projesinin Başken ve bölgelerde 1,5 milyon kişiye fayda sağlayacağı tahmin ediliyor. Gürcistan 2007'den beri Asya Kalkınma Banka üyesidir. Bankanın Gürcistan'a bugüne kadar verdiği toplam kredi tutarı 3,92 milyar dolar, teknik yardımlar ise 28,9 milyon dolar tutarında.

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოს 101 მილიონი ევროს ოდენობის საბიუჯეტო სესხი დაუმტკიცა. სესხის მიზნობრიობას საქართველოში ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და უკვე არსებულის რეაბილიტაცია წარმოადგენს. რესურსები მოხმარდება ქალაქების ცენტრების, საზოგადოებრივი ადგილებისა და პარკების რეაბილიტაციას. ასევე განახლდება ტრანსპორტის სისტემები, მათ შორის თბილისის მეტრო. პროექტის ფარგლებში აშენდება ბიბლიოთეკები, ელექტრონული სწავლების ცენტრები, საბავშვო ბაღები, სპორტული კომპლექსები და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებები.

საინვესტიციო პროექტი წინასწარი გათვლებით თბილისსა და რეგიონებში 1.5 მილიონ ადამიანს მოუტანს სარგებელს. საქართველო 2007 წლიდან არის ADB-ის წევრი. ამ პერიოდამდე საქართველოსთვის გაცემული სესხების ჯამი 3.92 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ტექნიკური დახმარების პროექტები 28.9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობისაა.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

"Yeşil Pasaport" ve Üçüncü Doz
„მწვანე პასპორტი“ და ბუსტერ დოზა

Gürcistan Koordinasyon Konseyi'nin kararına göre 1 Aralık'tan itibaren Gürcistan'da yeşil pasaport sistemine geçilecek.

İki doz aşısı olan, 72 saat geçerliliği olan PCR testinden veya 24 saat geçerliliği olan antijen testinden geçen veya korona virüsü geçirilmiş kişiler Yeşil Statüsüne sahip olacaktır. Yeşil Pasaportlara 18 yaş üstü kişiler sahiplenecek ve aşağıdaki kurumlara girme hakları olacak: Yemek tesisleri – Restoran, kafe ve barlar (açık ve kapalı alanlar); Sinemalar; Tiyatrolar; Opera; Müzeler; Konser salonlar; Eğlence merkezler; Kumarhaneler; Spor ve Spa Tesisler; Oteller; Kış tesislerin Teleferikler. Çocuk eğlence merkezlerinde bu önlem 18 yaş üstü kişiler için geçerli olacaktır.

Yeşil statü aşağıdaki bağlantı linkten kontrol edilir ve QR kod alınır: covidpass.moh.gov.ge.

Koordinasyon Kurulu kararı ile 3. doz aşılar da başlandı. 18 yaş üstü herkes, tam aşıladıktan (2 doz) 6 ay sonra aşının üçüncü dozunu alabilecek. Aşı için kayıt aşağıdaki bağlantı linkte yapılır: booking.moh.gov.ge



საქართველოს საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1დეკემბრიდან საქართველოში მწვანე პასპორტის სისტემა ამოქმედდება.

მწვანე სტატუსი აქნებათ იმ პირებს, რომელნიც ვაქცინირებულნი არიან სრულად, ჩატარებული აქვთ 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტი, ან გადატანილი აქვთ კორონავირუსი. „მწვანე პასპორტი“ ექნებათ 18 წელს ზემოთ მყოფ პირებს და შემდეგ დაწესებულებებში დაიშვებიან: კვების ობიექტები, რესტორნები, კაფეები და ბარები (ღია და დახურული სივრცეები), კინოთეატრები, თეატრები, ოპერა, მუზეუმები, საკონცერტო დარბაზები, გასართობი ცენტრები, სამორინეები და სათამაშო ბიზნესის ობიექტები, სპა-ცენტრები, ფიტნეს-დარბაზები, სასტუმროები და ასევე სამთო კურორტების - საბაგირო გზები. საბავშვო-გასართობ ცენტრებში ეს რეგულაცია 18 წელს გადაცილებული პირებისთვის იმოქმედებს.

კოვიდ სტატუსის გადამოწმება და QR კოდის მიღება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: covidpass.moh.gov.ge.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დაიწყო ასევე ბუსტერ დოზით ვაქცინაცია. 18 წლის ასაკის ზემოთ ნებისმიერი პირი სრული ვაქცინაციიდან 6 თვის შემდეგ ვაქცინის მესამე დოზით აცრას შეძლებს. ვაქცინაციისთვის დარეგისტრირება ქვემოთ მოცემულ ბმულზეა შესაძლებელი: booking.moh.gov.ge

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Anaklia Limanı
ანაკლიის პორტი

2022 bütçe taslağına göre Anaklia derin limanının inşası için seneye 1.516 milyon GEL harcanacak. Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı'na dayanarak medya, paranın büyük kısmının danışmanlık hizmetlerine harcayacağını söylüyor. Yatırımcı seçme süreci 2022'nin başlarında başlayacak. Şu an çalışmalar yeni seçim kriterlerinin belirlenmesi için devam etmektedir.



2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ანაკლიის ღრმა წყლოვანი პორტის მშენებლობისთვის გაისად 1.516 მლნ ლარი დაიხარჯება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე დაყრდნობით მედია აცხადებს, რომ თანხის უდიდესი ნაწილი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯია. ინვესტორის შერჩევის პროცესი კი 2022 წლის დასაწყისიდან დაიწყება. ამჟამად მუშაობა ახალი შესარჩევი კრიტერიუმების ჩამოყალიბებაზე მიმდინარეობს.

Ekim Ayında Turizm Sadece %43 Toparlandı
ოქტომბერში ტურიზმი მხოლოდ 43%-ით აღდგა

Ulusal Turizm İdaresi tarafından yayınlanan verilere göre, Ekim 2021'de Gürcistan'ı 220 705 uluslararası ziyaretçi ziyaret etti. Bu ziyaretlerin 188 751'i turistik amaçlıydı.

2020 yılının aynı dönemine göre turist ziyaretleri %331.5 arttı (43 743 turist). 2019 yılının aynı dönemine kıyasla turizm sadece %43 (438 805 turist) toparlandı.

Ekim 2021'de ülkeye en fazla ziyaretçi Türkiye (35 829 ziyaretçi), Rusya (29 159 ziyaretçi) ve Ermenistan'dan (19 301 ziyaretçi) geldi.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2021 წლის ოქტომბერში საქართველოს 220 705 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია. აქედან 188 751 ვიზიტი ტურისტული დანიშნულების იყო.

2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტურისტული ვიზიტები 331.5%-ით გაიზარდა (43 743 ტურისტი), 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი ტურიზმი მხოლოდ 43%-ით აღდგა (438 805).

2021 წლის ოქტომბერში ყველაზე მეტი ვიზიტორი ქვეყანას თურქეთიდან (35 829 ვიზიტორი), რუსეთიდან (29 159 ვიზიტორი) და სომხეთიდან (19 301 ვიზიტორი) ეწვია.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Şarap İhracatı
ღვინის ექსპორტი

2021 yılının ilk dokuz ayında Gürcistan şarap ihracatından 163.558 milyon dolar elde etmiştir. 2019 yılının aynı döneminde şarap ihracatı 149.737 milyon ABD doları olarak gerçekleşmiştir. Pandemi döneminde ise Ocak-Eylül 2020'de Gürcistan 141 milyon dolar değerinde şarap satmıştır.

2021 yılında geçen yıllara göre ihraç edilen şarap miktarı da arttı. 2020 yılın Ocak-Eylül döneminde 60 ülkede 54 985 ton, 2019 yılının ilk 9 ayında ise 47 395 ton şarap ihraç edildi. Gürcistan'ın şarap sattığı ilk 10 ülke aşağıdaki gibidir.
Ulusal Şarap Ajansı'na göre, bu yıl ülke bağımsızlığı tarihinde eşi görülmemiş 100 milyon şişe şarabı ihraç edecek.

1. Rusya/რუსეთი - 94.632 mln $
2. Ukrayna/უკრაინა - 16.226 mln $
3. Çin/ჩინეთი - 10.588 mln $
4. Polonya/პოლონეთი - 8.852 mln $
5. Kazakistan/ყაზახეთი - 6.451 mln $
6. Beyaz Rusya/ბელარუსი - 5.491 mln $
7. ABD/აშშ - 3.549 mln $
8. Letonya/ლატვია - 3.268 mln $
9. Almanya/გერმანია - 2.381 mln $
10. Litvanya/ლიეტუვა - 1.703 mln $

2021 წლის ცხრა თვეში საქართველომ ღვინის ექსპორტიდან 163.558 მილიონ აშშ დოლარამდე შემოსავალი მიიღო. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში ღვინის ექსპორტმა 149.737 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პანდემიურ 2020 წლის იანვარ-სექტემბერში კი, საქართველომ 141 მლნ აშშ დოლარის ღვინო გაყიდა.

2021 წელს, გასულ წელთან შედარებით, ექსპორტირებული ღვინის ოდენობაც გაზრდილია. 2020 წელს ჯამში, იანვარ-სექტემბერში მსოფლიოს 60 ქვეყანაში 54,985 ტონა ღვინო გავიდა, 2019 წლის 9 თვეში კი 47,395 ტონა ღვინო. Top-10 ქვეყანა, სადაც საქართველო ღვინოს ყიდის ზემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, წელს ექსპორტზე 100 მლნ ბოთლი ღვინო გავა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცენდენტო რაოდენობაა.

Gürcistan'da Önde Gelen 10 Buğday İthalatçısı
TOP-10 ხორბლის იმპორტიორი საქართველოში

Geostat'ın sağladığı verilere göre, şirketlerin sıralaması rastgele sıralandığı ve ithalat hacmi ile ilişkisi olmadığı belirtilmelidir.
საქსტატის მიერ მოწოდებული მონაცემებით კომპანიების რიგითობა შემთხვევითობის პრინციპით არის დალაგებული და არ არის იმპორტის მოცულობასთან კორელაციაში.

შპს "აგროსისტემები" – LLC "Agrosistemebi" (Tarımsal Sistemler)
შპს „ბევრილი ჯგუფი" – LLC "Bevrili Jgufi" (Bevrili Grup)
შპს „ნედლი" – LLC "Nedli"
შპს „ჯეიმოლი – LLC "Jeimoli"
შპს „პარტნიორი 2017 – LLC "Partniori 2017" (Partner 2017)
შპს „დიკა – LLC "Dika"
შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი – LLC "Potis Martsvleulis Terminali" (Poti Tahıl Terminal)
შპს „ლენა – LLC "Lena"
შპს „ჯეოლოგ – LLC "Jeolog"
შპს „ბარაქა ჯგუფი – LTD "Baraka Ggupi"

Covid – 19

Gürcistan'da günlük Kovid-19 vaka sayısı tekrar yüksek olup günde 4 445 'a ulaşmaktadır. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 32 315'e ulaştı (ortalama: 4616 kişi/gün). Bu hafta en yüksek günlük oran 9 Kasım'de kaydedildi – 6021. Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.
Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 775 826 ulaştı. Can Kaybı – 10816, iyileşenlerin sayısı – 708 820, aktif vaka ise – 56 190. Halihazırda hastanelerde 6856, otellerde ise 1324 kişi tedavi görüyor, 55 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %8.75'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %10.02'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %10.06'e eşittir.
Bunun yanı sıra Gürcistan'da aşılama süreci de devam etmektedir. Şu an için toplam 2 032 939 kişi aşılandı. Aşı için kayıtlar devam etmektedir. Kayıt portal: https://booking.moh.gov.ge
Dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 252 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 252 782 407; Can Kaybı – 5 098 377; İyileşen kişi sayısı – 228 690 278. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Birleşik Krallık ve Rusya'da görülmüştür.
საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევები ისევ მაღალია და დღიურად 4 445 -ს უტოლდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 32 315-ს უტოლდება - 4616 კაცი საშუალოდ დღეში. ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი 9

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

ნოემბერს დაფიქსირდა - 6021 ინფიცირებული. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 775 826 შეადგინა, გარდაიცვალა 10816, გამოჯანმრთელდა 708 820, ხოლო 56 190 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 6856 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1324 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 55 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 8.75%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 10.02%, ხოლო 7 დღის 10.06%. პარალელურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. საქართველოში ჯამურად აცრა 2 032 939 ადამიანს ჩაუტარდა. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 252 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 252 782 407 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 5 098 377, ხოლო გამოჯანმრთელდა 228 690 278 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, დიდ ბრიტანეთს და რუსეთს ჰყავს.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1492 **TRY/GEL** – 0.3166 **EUR/GEL** – 3.6099 **GBP/GEL** – 4.2158

USD/GEL

05 - 12 Kasım 2021

USD/TR

05 - 12 Kasım 2021

TRY/GEL

05 - 12 Kasım 2021

BTC – 624 360. 20

05 - 12 Kasım 2021



ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası